გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება №235

2022 წლის 09 დეკემბერი
ქ. გორი

ქ. გორში, მარაბდელის და გაბაშვილის ქუჩებზე საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია სადგური-ელექტროფიკაციის დასახლების ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მოთხოვნილია სადგურის დასახლების ტერიტორიაზე, მარაბდელისა და გაბაშვილის ქუჩების კვეთაზე (გზაჯვარედინზე) საგზაო ნიშნების დამონტაჟება.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად და, საგზაო მოზრაობის უსაფთხოებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. გორში, მარაბდელის ქუჩას მიენიჭოს მთავარი გზის პრიორიტეტი, მარაბდელის ქუჩა №31-თან და №38-თან განთავსდეს საგზაო ნიშნები 2.1-„მთავარი გზა“ და გაბაშვილის ქუჩა №26-თან და №33-თან განთავსდეს საგზაო ნიშნები 2.3-„დაუთმე გზა“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, მარაბდელის ქუჩას მიენიჭოს მთავარი გზის პრიორიტეტი, ქ. გორში, მარაბდელის ქუჩა №31-თან და №38-თან განთავსდეს საგზაო ნიშნები 2.1-„მთავარი გზა“ და ქ. გორში, გაბაშვილის ქუჩა №26-თან და №33-თან განთავსდეს საგზაო ნიშნები 2.3-„დაუთმე გზა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. გორში, მარაბდელის ქუჩას მიენიჭოს მთავარი გზის პრიორიტეტი, ქ. გორში, მარაბდელის ქუჩა №31-თან და №38-თან განთავსდეს საგზაო ნიშნები 2.1-„მთავარი გზა“ და ქ. გორში, გაბაშვილის ქუჩა №26-თან და №33-თან განთავსდეს საგზაო ნიშნები 2.3-„დაუთმე გზა“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე